ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 6954/01
12/07/2019

6954-01-2-201907121042

შპს „აშენდი აგრო საქართველოს“
მის.: თბილისი, 0119, 29 ნადირა ხოშარაულის ქუჩა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 27 ივნისის № 9311 წერილი, რომელიც ეხება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ასურეთში მეღორეობის ფერმის პროექტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ მეღორეობის ფერმა გააჩნია 2018 წლიდან.

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის 24-ე პუნქტის შესაბამისად, მეღორეობის ფერმის მოწყობა და ექსპლუატაცია (10 000-ზე მეტი სადგომით გოჭებისთვის (30 კგ-ზე ნაკლები) ან/და 6000-ზე მეტი სადგომით ღორებისთვის (30 კგ-ზე მეტი) ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ღორების ფერმა გათვლილია 10 000 ღორზე, შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

წარმოდგენილ წერილში განხილულია სასაკლაოსა და არასახიფათო ნარჩენებისთვის ინსინერატორის მოწყობა-ექსპლუატაციის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტრო წყვეტს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე